მედიცინის დოქტორების თინათინ გოგნაძისა და შორენა წიკლაურის კვლევა: „ონკოლოგიურ პაციენტებში ქიმიოთერაპიის შემდგომი ყელის სიმშრალის მკურნალობა და პროფილაქტიკა პრეპარატ ისლა მინთით“.

კვლევის მიზანი: ქიმიოთერაპიის შემდგომი ყელის სიმშრალის დროს პრეპარატ ისლა მინთის კლინიკური გამოცდა, პროფილაქტიკის და მკურნალობის ეფექტურობის დადგენა და მისი შეფასება, სუბიექტური და ობიექტური მონაცემების საფუძველზე.

ამ მიზნით კვლევის მიერ **დასახული ამოცანები:**

1. პაციენტების გასინჯვა ყელ-ყურ-ცხვირის ექიმის მიერ ქიმიოთერაპიის კურსის დაწყებამდე,

მისი სუბიექტური და ობიექტური მონაცემების განსაზღვრა;

2. ქიმიოთერაპიის კურსის დაწყებამდე, რეკომენდაციების გაცემა პირის ღრუს სანაციის შესახებ.

3. საკვლევ ჯგუფში პრეპარატ ისლამინთის გამოცდა (საკვლევ ჯგუფს დამატებით ეძლევა რეკომენდაციები პრეპარატ ისლა მინთის მიღების და გვერდითი მოვლენების შესახებ).

კვლევის ინსტრუმენტები:

პროექტი განხორციელდება ავერსის კლინიკის ბაზაზე, 6 თვის მანძილზე, სადაც ჩართულები იქნებიან ექიმი ონკოლოგი რომელიც ქიმიოთერაპიის საჭიროების მქონე პაციენტებს გააგზავნის ყელ-ყურ-ცხვირის ექიმთან, რომელიც არის იმავე კლინიკაშია და ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც ასისტირებას გაუწვენ თავინთ პროფესორებს. პაციენტების შერჩევა მოხდება ონკოლოგის მიერ. ონკოლოგი აგზავნის პაცინეტებს ყელ-ყურ-ცხვირის ექიმთან. პაცინეტის ინფორმირება კვლევაში ჩართვის თაობაზე და მისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება ხდება ოტო-რინო-ლარინგოლოგისგან. პროექტში სულ ჩართული იქნება 60 პაციენტი, აქედან 30 არის საკონტროლო ხოლო 30 შესადარებელ ჯგუფში. კვლევა ჩატარდება ეტაპობრივად 10-10 პაციენტზე 2-2 თვის ხანგრძლივობით.